კანტორა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., თ.-აზნაური ქარვასლა

ხელისმოწერნი გაზეთის დახაკვეთა მართავენ რედაქციის დილის საათამდე და საღამოს 6—7 ს. ქ. სახ." წიგნის მაღაზიაში.

მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

ხელ-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.

ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

**1899** წლისათვის მიიღება ხელის-მოწერა

გაზეთ „ცნობის ფურცელზე"

ფასი წლიურად **6** მან., ნახევარის წლით **4** მან., ერთის თვით **60** კაპ.

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, **2** თებერვალს

ათის წლის მოღვაწეობისათვის ქართულს სცენაზე დანიშნულის

**ბენეფისი გ. ვ. გედევანოვისა**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, მესხი; ბ.ბ. ბოგდანოვი, სევერსკი და მთელი დასი

წარმოდგენილი იქნება:

**ჯან მეგობრებო!!**

კომედ. 4 მოქმედ. თხზ. ე. სარდუსი. თარგ. კ. ბაქრაძისა.

**დასასრულ დივერტისმენტი**

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია**

დასაწყისი სწორედ 8 საათზე

რეჟისორნი: **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი.**

გაშინჯეთ ახალი მოსავლის ღვინოები

ამა წლის პირველ იანვრიდან დავიწყეთ საკუთარ ახალ მოსავლის ღვინის ყიდვა. ვინც ით ბოთლს ღვინოს იყიდის ბოთლი 1 მ. და 30 კ.

გაშინჯეთ ახალი მოსავლის ღვინოები

ღვინის სარდაფი

„იყალთო"

თ. გიორგი და ლუარსაბ მაყაშვილებისა

გოლოვინის პროსპექტი, ანტონოვის სახლი, სასტ. „როსსიას" ქვეშ, ახალი თეატრის გვერდზე.

ამით ვაუწყებს საზოგადოებას, რომ ჩვენ გავხსენით საკუთარი მოსავლის ღვინის სარდაფი

„იყალთო"

ბოთლი **20** კაპ. ვიდრე **1** მანათამდე, ყველგან ფასი დაკლებულია.

**Винный складъ**
Князей Г. и Л. Макаевыхъ
подъ фирмой
**„ИКАЛТО"**
Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. Антонова, подъ гост. «Россія» (75—46)

ქვრებული წმ. ქალწულ მოწმის ბარბარეს ეკკლესიისა (ნავთლუღში), განკარგულებისამებრ ყ-დ უსამღვდელოესის ეგზარხოსისა ფლავიანესა, უმორჩილესად სთხოვს მრევლთა და მლოცველთა ამა ეკკლესიისა მობრძანდეს 2 თებერვალს 12 საათზე აღმოსარჩევად სამზრუნველო წევრებისა (პოპეჩიტელსტვოსი) და ეგრეთვე მნათესი (სტაროსტისი), რომელსაც გარნა თავის მოვალეობისა დაედება ვალად, რათა გააუმჯობესონ ყოფილი სამხედრო სასაფლაოც, ხოლო ეხლა აოხრებული.

მოძღვარი იოსებ ჩიჯავაძე. (3—2)

ნაფიცი ვექილის თანაშემწე

**თ. გრიგოლ ნიკ. დიასამიძე**

მიიღებს ყოველ დღე დილის 8—10 საათამდე და საღამოს $4^1/_2$—$6^1/_2$-ადე.

მალაია სუდებნაია, № 4. ინჟინერის კრინიოვის სახლი. (5—3).

სამკურნალო და ამბულატორია

**ს. ბ. თოფურიასი**

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. ქ. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის **D-r ფ. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ.**

**ვარშავსკი.**

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

***Лѣчебница В. С. Топуріа*** въ Кутаисѣ.

## ახალი ამბავი

*** **საუბარი ქაშვეთის ეკკლესიაში.** დღეს, 31 იანვარს, ქაშვეთის წმ. გიორგის ტაძარში წარმოთქმულ იქნება ქართულს ენაზედ მწუხრის შემდეგ საეკკლესიო საუბარი მთაწმინდის მღვდლის მ. ნესტორ მაჭარაშვილის მიერ შემდეგის სათაურით: „დირსი მამა დავით გარეჯელი". მწუხრზე იგალობებს სასულიერო სემინარიის მოწაფეთა ქართული გუნდი.

*** **სახალხო წარმოდგენის გადადება.** ქართული სახალხო წარმოდგენა, რომელიც დანიშნული იყო კვირას, 31 იანვარს, გადაიდვა 2 თებერვლისთვის.

*** **ამერიკულ ვაზების ახალი სანერგე.** საქარის ამერიკულ ვაზების სანერგის მმართველის აგრონომის სტაროსელსკის შუამდგომლობის თანახმად, მიწადმოქმედების რწმუნებულმა კავკასიაში ნება დართო მიეცეს 6000 ნამყენი ამერიკული ვაზისა სოფ. საქარის გლეხს ნიკოლოზ ცერცვაძეს იმ პირობით, რომ ნამყენების ღირებულება გადახდილ იქნეს ამ წლის გასულს. ცერცვაძეს განზრახვა ჰქონია გამართოს თავისი სანერგე ამერიკულ ვაზებისა და ამ აზრით უკვე ადგილიც მოუმზადებია.

*** **სამღვდელოების ჯამაგირის მომატება,** 1898 წლის 11 ნოემბერს უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა სახელმწიფო რჩევის აზრი

იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ხაზინამ 1899 წლ. 1-ლ იანვრიდან იმ ფულს, რომელიც ქალაქისა და სოფლის სამღვდელოებას ეძლევა, მიუმატოს წლიურად 500,000 მ.

⁂ **სამაზრო მარშლების კანდიდატები.** „ნოვ. ობ.“ ქუთაისიდან სწერენ, რომ ამ ჟამად უკვე დასწერილი ჰყავთ სენაკისა, ლეჩხუმისა, და ზუგდიდის სამაზრო მარშლების კანდიდატები. არჩევნები დანიშნულია 29 თებერვალს, ლეჩხუმისათვის სამაზრო მარშლის კანდიდატებად ასახელებენ თავ. იას. გელოვანს და თავ. ტ. დადიშკელიანს, სენაკისათვის—პოლკოვნ. პ მხეიძეს და თავ. ვ. გ ჩხეიძეს და ზუგდიდისათვის პოლკოვნიკ. გ გვათუას და თავ. მ. მ. დადიანს.

⁂ **საფილოქსერო კომიტეტის აგენტები.** როგორც ისმის, ამ მოკლე ხანში სოჩასა და ფოთში დააარსებენ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის აგენტების თანამდებობას.

⁂ **არჩევნების დამტკიცება.** თელავიდამ იწერებიან, რომ იმ სამი კანდიდატიდან, რომლებიც არჩეულ იქმნენ თელავის ქალაქის მამასახლისის თანაშემწის თანამდებობაზე, ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა ბ. იონშერი, ხოლო მის კანდიდატად ბ. როსტომაშვილი.

⁂ **მკვლელობა.** ბაქოში 26 იანვარს, ვიღაც ბოროტ-მოქმედთ თავი მოეჭრათ სასამართლოს გზირის ალისათვის მის საკუთარ ბინაზე. მოკლულის გვამი ნახეს ქუჩაზე, ხოლო თავი კი თან წაეღოთ მკვლელებს. ამ დანაშაულის ჩადენას, სხვათაშორის, აბრალებენ ერთ თათრის ქალს.

⁂ **მაწების მორწყვის საქმე.** სამიწად მოქმედების სამინისტროს განზრახვა აქვს უფრო გაავრცელოს კავკასიაში მიწების მორწყვა.

⁂ **ქალაქის საბჭოს სხდომა.** დანიშნულია 31 იანვრისათვის.

⁂ **ყაჩაღის შეპყრობა.** ახალციხის მაზრის უფროსის მეცადინეობით მაზრის მიდამოებში შეიპყრეს ყაჩაღი, ვიღაც დაშტანი, რომელსაც ბრალდება მრავალი დანაშაულის ჩადენა, სხვათაშორის, ქარელის ებრაელის სახლის გაძარცვა და აგრეთვე თავდასხმა დ. ბორჯომის მახლობლად, ციხის ჯვარის წყლებზე

⁂ **შემწეობა ახალციხის საქალაქო სასწავლებლისათვის.** მიწადმოქმედების მინისტრს ახალციხის საქალაქო სასწავლებელში 1899 წ. მებაღეობისა და მებოსტნეობის სასწავლებლად დაუნიშნავს მიწადმოქმედების დეპარტამენტის ფულიდან 500 მან.

⁂ **თავ. ვლ. ფალავანდიშვილის საქმე.** 27 იანვარს ქ გორში ტფილ. საოლქო სასამართლოს სესიამ გაარჩია საქმე თავ. ვლ. ფალავანდიშვილისა, რომელსაც ბრალდებოდა ბოქაულის დუბონოსის შეურაცხყოფა. თავ. ვლ. ფალავანდიშვილმა შარშან 20 აგვისტოს, სოფ. ცხინვალში, იარალოვის დუქანში, რევოლვერი გაისროლა. ამ შემთხვევის გამო ბოქაული, მოვიდა დუქანში და აპირებდა ოქმის შედგენას, მაგრამ თავ. ფალავანდიშვილმა მოაშორა ის დახლს, ხელიდამ ქაღალდი გამოსტაცა და დაიყვირა: „ნებას არ მოგცემ ოქმის შედგენისასო“. ოლქის სასამართლომ ფალავანდიშვილს 2 თვით დატუსაღება მიუსაჯა.

⁂ **მამასახლისის არჩევა.** გორის მაზრის სოფ. ხიდისთავის მამასახლისად არჩეულ იქმნა ეფრემ ტეტიჩი ტერ სტეპანოვი.

⁂ **პირდაპირი მიმოსვლა.** რკინის გზების დეპარტამენტმა აცნობა ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს, რომ დარუბან ბალაჯარის გზაზე წესიერი მიმოსვლის დამყარების შემდეგ ამიერ-კავკასიის რკინის გზა პირდაპირ დაუკავშირდება იმპერიის რკინის გზებს და გაიმართება პირდაპირი მიმოსვლა ყველა სადგურებ შორის. საზოგადო სამგზავრო ტარიფის წესებად დარჩება 1894 წ. 1 დეკემბ. წესები.

⁂ **ტფილისის ხარჯთ-აღრიცხვა.** ქ. ტფილისის საბჭოს საფინანსო კომისიამ უკვე განიხილა ქ. ტფილისის ამა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ხარჯთ-აღრიცხვით წელს ქალაქს შემოსავალი ექმნება სულ 1,158,944 მანეთი; სხვათა შორის დაფასების გარდასახადისაგან—311,615 მან., სავაჭრო დაწესებულებებიდან 116,621 მ., ცხენების გადასახადიდან 29,452 მ., ქალაქის მამულებიდან 104,760 მ., ქალაქის შენობებიდან 345,022 მ., და სხვა.

⁂ **მოძრაობა ყარსის რკინის გზაზე.** 29 იანვარს, ნაშუადღევის 4 საათზე, პირველი სახალხო მატარებელი წავიდა ახლად გაყვანილ ტფილის-ყარსის რკინის გზაზე. მატარებლები ივლიან მხოლოდ სად. კარაკლისამდე, რადგანაც აქამდეა გზა დამთავრებული. მატარებელი კვირაში ორჯერ ივლის—პარასკეობით და სამშაბათობით. ტფილისიდან მატარებელი ნაშუადღევის 4 საათზე გავა.

⁂ **ახალი ბაღის გაშენება.** ხეტყის გამშენებელ კომისიას განზრახვა აქვს შეუდგეს ბაღის გაშენებას იმ მოედანზე, რომელიც სძევს ავჭალის ქუჩისა და გერმანელთა სასაფლაოს შუა. ბაღი გაშენდება 200 ოთხ-კუთ. საჟენის სივრცეზე. იმავე კომისიას განზრახვა აქვს გააშენოს ბაღჩა ავჭალის უფასო სასადილოს შენობასთან, სადაც ამ ჟამად სახალხო წარმოდგენები იმართება.

⁂ **ნიხრის დამტკიცება.** ტფილისის გუბერნატორის თანამ. აღმ. კ. კ. სტეფანოვიჩმა დაამტკიცა ქალაქის საბჭოს მიერ დაწესებული ნიხრი ძროხის ხორცზე $8^1/_2$ კაპ. და გირვანქა ცხვრის ხორცზე 9 კაპ.

⁂ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ახალი ქართული წიგნი “ცხოვრება წმ. დიდისა მოწამისა ესტატესი“, გადმოღებული შარაძის—მიერ და მეორედ გამოცემული რაჟდენ ბარამაძის მიერ. წიგნი შეიცავს 16 გვერდს და ღირს ერთი შაური.

⁂ **ქსნის ხეობა.** ჩვენა აგვარგი. ნუ თუ გამეორება გვმართებს თუ როგორ გულ-გამგლეჯ, შემაძრწუნებელ წამება ღრწნასა ეს ხეობა! განა ეს უთავ-ბოლო მისი თავ-დავიწყება არ ჰმოწმობს ამასა; სად არის მისი ხსენება—უკანასკნელ დღიურ გაზეთსაც ეუცხოვები მისი სახელი. ესეა ეს ათასობით კომლი. გარიყულა შორს, მოწყვეტილა მოძმე ადგილებს და მის უდარაჯო სივრცეს მზრუნველ თვალ მოკლებულ ბავშურს უბრყვილო გულს დღეს დასცხრომია ვინ-გინდ არა, სრუტავენ ბედ-შავსა და აცლიან უკანასკნელს სიცოცხლეს!!. გაიძვერობაში მომწიფებული გუნდი თავლალად დასრიალებს, ოთხივ კუთხივ აბამს ქსელსა და ერთი-მეორეზედ იგლისავს უექვო გლეხსა!!. იქამდისინ თავწაშვებულია ეს გუნდი, რომ დაჩაგრულთა ძარღვ-მკვლანქავი კვნესა ოხვრა მხოლოდ მელურ გაიძვერობად მიაჩნიათ..

ასე ამ გვარად ღიმილი ხომ ღიმილია და ცრემლიც კი ღიტინად მოსჩვენებია ზოგიერთა მათგანს!!.

სად არის ამ კარ-აქოლვილ სივრცისთვის მფარველი თვალი; სად არის შველა, მომხრე გლეხების, რომ გამოიხსნენ ამ ბასრულ ბრჭყალებიდგან, რომელთა წრესა ქართველი თუ სომეხი წოდების განურჩევლად ხარბად აწყდება...

თუ რით წარმოობს ეს ხე
დღევანდლამდის ამის შესახებ მო
ლედ მქონია მოხსენებული „ცნ
ბის ფურცელში“, საიდგან
სჩანს, რომ ამ აწეწილი დრო
მიუხედავათ, ბევრს ათას თუმნ
უდრის წლიური შემოსავალი
ნის ხეობის გლეხობისა.. მაგრ
რა ნუგეში საწყალ გლეხს!. ვალ
მატულობს და ეს ფული კი
იცის რაზედ ეგლიჯება.. უმე
ლია ის დაზურგულია ბევრი
მართლო მოთხოვნილებით და
ხუთავს სწყვეტს წელს ისეც ჯ
მოღებულ გლეხს.

— **დეპო.** რათა ღირს ამ დრ
აქ დეპო, ან ამის გვარი რამ
წესებულება? ეს ხომ სამღვთო
გნად აღედგმება ამ სასო წარ
თილ ერსა, დაუბრუნებს რწმენ
იმედს და თავ-დავიწყებულ გან
რულებას აღმოუფეთქს ნუგეშ
მორწყულ გულზედ.

— **მოწოდება.** დრო არ არ
დაგვიანების, ვისაც კი მოგწვ
ბათ ეს ჰალალი, უმეტ-ნაკლ
ხმა ერისა, მიეცით ამ ხმას
გულისაკენ; მიიახლოვეთ კა
მოყვარე, უფრო ახლო ძმათ მ
ყვარე გრძნობასთან და სასჯე
იმან მოიღოს... გახსოვდეთ, ჩვე
მოძმენი, ჩვენი ბედ-უბედობის
ნამგზავრნი იხრწნებიან უთან
რძნობოთ, იგლიჯებიან დაუნდ
ბლად, ვინც არ გინდათ ი
ჰფლეთავს, გახსოვდეთ ესა და
რე მიდით და განცხრომით მო
ვენევით..

„ღღეს გამოჩნდება ვინ არს
თგულ
ვის უფრო უყვარს ძმანო მამ
ლი“

მალე საქმე, საქმე, ვინემ ჰფეთ
ვენ ოდნავ კიდევ, არ დაივიწყ
წუთი საუკუნეა ამათთვის
დეე, იკისროს ვინმემ გამოცდი
მა ამის დაწყება და მიიღოს ჩვე
გან საერთო თანხისთვის 1000
თუმცა ეს ფული საგრძნობიერ
ჩვენთვის...

— **მჟავე წყლები.** ამ ხეობ
ჩრდილო ნაწილში ხშირია თურ
მჟავე წყლები. (მე თვითონ ვნა
ამასთან, ახალგორის მახლობლ
მდებარე ს. ყანჩაეთში დიდი
ნია ამოხეთქავს გოგირდის წყალ
რასაც სუნით ადამიანი შორიდ
ნვე შეიტყობს. მდაბიო ხალხი
წყალს სამკურნალო ხასიათს
ლევს, თურმე ქარიანებს ძალი
რგებს; სამწუხაროდ მეცნიერულ
არც ერთია გამორკვეული,
შესაფერი ფასი დაედოს თვითე
მათგანს.

— **ნავთი.** ეს არაფერი. ამ ხე
ბის შუა ნაწილში მდ. ქსნის მა
ცხენა მხარეს ნაპოვნია თვალ
ჩინო ნიშნები ნავთის არსებობი
შიგა და შიგ თურმე ეონავს
დეც; გვესმის, ვითომ მებატონ

ქციოს ყურადღება და გამოკვ-
ვას გაზაფხულიდგან შეუდგე-
ნ. ღმერთმა ინებოს. თუ ეს
რია, ვისურვებ სულით და გუ-
თ ამის გამართლებას.
— ამინდები. თბილა. გზებს
ერი ასდის. იშვიათი იანვარია.

ახალგორელი მ.

*** ს. ოკამი (ქართლი). ხალ-
ხის ნივთიერი მდგომარეობა. სოფ.
ამი მდებარეობს სოფ. მუხრა-
ნიდან ორი ვერსის მოშორებით
ლობ ადგილზე. აღმოსავლეთის
ჩამოუდის მდ. ქსანი, სამ-
ხრეთით უძევს სოფ. მუხრანი,
ლო ჩრდილო-დასავლეთით შე-
მოვლებულია მაღალის მთა-გო-
რებით. მცხოვრებთა რიცხვი ას
ლს შეადგენს; ხალხი მამა-პა-
პურ მეურნეობას ეწევა დღესაც
ცივილიზაციისა და სამეურნეო
ვითარებას მათთვის თვისი სხი-
ვერ მიუნათებია. აქ დღესაც
ის-ძველ მამა-პაპურ სამეურ-
იარაღებს ხმარობენ. მცხოვ-
მომეტებულ ნაწილად მის-
მევენახობას და მიწად მო-
ქმედებას; ამას გარდა სხვა არც
დარგი მეურნეობისა და
წველობისა ოკამმა არ იცის.
ღვინო საუკეთესო ღირსებისა
ის. როდესაც ვაზი სიუხვეს
იჩენს და ცოტათი მაინც
სეულად დააჯილდოვებს მუ-
ელს, მაშინ გლეხების სიხა-
ს საზღვარი არა აქვს: საწყა-
გლეხი ფეხზედ დგება და წე-
იმართება. საბუთიც აქვს
თი სიხარულისათვის, რადგან
ნო შეადგენს პირველს წყაროს
სიმდიდრისას. აქაურმა გლე-
გაყიდული ღვინის და პურის
სით უნდა მოიშოროს თავი-
სახელმწიფო გარდასახადი,
ფლო, სამღვდლო, საბატო-
და სხვა ბევრ გვარი აუცილე-
ხარჯ-ბეგარა. რასაკვირვე-
ღვინო და პური, რაც უნ-
უხვი მოსავალი იყოს, იმდენი
ოუვა ოკმელს გლეხს, რომ
ყიდად გადურჩეს, მაგრამ რა-
ხვა ღონისძიება არ მოეპოვე-
ულის საშოვნელად, ამიტომ
ლო გლეხი ისე ჰყიდის თა-
შრომისა და ოფლის ნაყოფს,
მას თვითონ ვერც კი იგე-
და ამასთანავე სულ დაბალ
ჰყიდის. როდესაც დედა-
და ვენახი სიძუნწეს იჩენს,
ო და პური ნაკლებად მო-
მაშინ იწყება ოკმელ მკვიდ-
ვება და განსაცდელი. ჩვენი
ხვების სამწუხაროდ ეს რამ-
ე წელიწადია ვაზს რაღაც
ყოფობა გაუჩნდა, რის გამო
ის მოსავალმაც შესამჩნევად
. ხალხი სცდილობს ვაზს
უწამლოს, მაგრამ ბევრი
ნიშანი არა სჩანს.

— სკოლის უქონლობა. მეტად უყურადღებოდ არის დატოვებული ოკამი ყოველ მხრივ, განსაკუთრებით სწავლა-განათლებით. ამ ას კომლ მცხოვრებში ერთ კაცსაც ვერ გამოარჩევ, რომ რიგიანად ხელის მოწერა შეეძლოს. როდესაც მთავრობიდამ რაიმე განკარგულება მოუვათ, ან რამე დასაწერი აქვთ, მაშინვე მირბიან ახლო სოფელში მღვდელთან, ან თუ ის არ დახვდათ, რომელიმე ინტელიგენტთან, რომ ქაღალდის დაწერა ან წაკითხვა სთხოვონ. არ იფიქროთ, რომ გლეხებს ასეთი თხოვნა უსასყიდლოდ აუსრულონ. სანამ ათ შაურს ან მანეთს არ გამოჰგლეჯენ, ხელსაც არ მოჰკიდებენ; გლეხს მეტი გზა არა აქვს, ემორჩილება მათ და იხდის მოთხოვილ სასყიდელს. ასეთს ყოფაშია ჩვენი სოფელი. იმას ნუ კი იფიქრებთ, ღონისძიება დაზოგოს ამ სოფელმა სწავლისთვის. ამას წინად აქ იყო მღ. პლატონ ხუროშვილი, რომელიც ამ სოფლიდან არის, შეაგროვა რამდენჯერმე მცხოვრებნი, და წინადადება მისცა დავაარსოთ სკოლა და სასოფლო ბანკი, საიდანაც შევეძლოთ გაჭირვების დროს ფულის სესხებაო. ამასთანავე კარგა ხანი ესაუბრა ხალხს სწავლა-განათლების და სასოფლო ბანკის მნიშვნელობაზე. ხალხმა ერთხმად სიხარულით გამოაცხადა თანხმობა ამ წინადადებაზედ, მაგრამ სამწუხაროდ მ. პლატონი მხოლოდ დროებით მოვიდა აქ და ხალხს სურვილი აღუძრა: საჭირო იყო, რომ მისი განზრახვა გაეხორციელებინა ადგილობრივ მღვდელს.

მართალია, მახლობელ სოფელში, სახელდობრ ლამისყანაში არის სამინისტრო სკოლა, მაგრამ განა ამ სკოლას შეუძლია სარგებლობა მოუტანოს ჩვენს სოფელს, რომელიც მისგან მოშორებულია ექვსი ვერსის მანძილზე? აბა ამ სიშორეზე როგორ შეუძლია იაროს ბავშვმა, მეტადრე ზამთრობით? სწორედ ამას მიეწერება ის გარემოება, რომ ჩვენებურთაგანს ერთსაც არ მიუცია შვილი სასწავლებლად, თუმცა ხსენებული სკოლა რამდენიმე წელიწადია, რაც არსებობს და თუმცა ამ სკოლისთვის ჩვენი სოფელი თხუთმეტ თუმანზე მეტს იხდის წელიწადში.

ამ ხარჯს რომ ერთი იმდენიც მიუმატონ (რისიმედიც გვაქვს, რადგან ჩვენ სოფელს მიეშველება ს. თეზი, რომელიც ოკამთან ერთად შეადგენს ერთ მღვდლის მრევლს), მაშინ ოკმელებს შეეძლებათ საკუთარი სკოლა დაიარსონ.

— ავადმყოფობა. ეს ორი თვეა აქ საშინლად მძვინვარებს ყვავილი, რომელმაც ბევრი იმსხვერპლა, განსაკუთრებით პატარა აუცრელი ბავშვები, რიცხვით 30 მდე. საუბედუროდ, ყველა პატარა ბავშვი აქ აუცრელი აღმოჩნდა. ეს სენი დღესაც კიდევ ამრავლებს მსხვერპლს და სულ გაანადგურებს აუცრელ ბავშვებს, თუ დროზე ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია ამ სენს ვისიც ჯერ არს.

დათიკო ა—ხვარი

*** სოფ. სამიქაო (იმერეთი). მწერლის არჩევა. სამიქაო შეადგენს ხონის ნაწილის საბოქაულოს; მდებარეობს დასავლეთით მდ. ცხენის წყლიდან იქ, სადაც ეს წყალი ადიდების დროს ყოველ წლივ გადაასახლებს ხოლმე ოცდა-ათ კომლ გლეხებს, რომლებიც რჩებიან ცარიელ-ტარიელნი ღვთის ანაბარად. ამნაირად დაცემულ და ღარიბ საზოგადოებას დღითი-დღე ემატება სხვა და სხვა გაჭირვება-შიმშილი თუ წყურვილი მგონი თითქმის ოცი წელი იქნება, რაც ამ სოფლის სასამართლოში მოიდგა ფეხი ერთმა მწერალმა, რომელიც მუდამ თავის ნებაზენავარდობს და გაჭირვებულ ხალხს აწუხებს. ეს ვაჟბატონი რამდენჯერმე არის დათხოვილი სამსახურიდან ქუთაისის მაზრის უფროსის განკარგულებით, მაგრამ რაღაც მანქანებით მაინც ისევ აქ ამოყოფს ხოლმე თავს და არ იქნა, ვერ მოვიშორეთ. სოფლის სასამართლო ისეთ განჩინებას ვერ დაადგენს, რომ ამ მწერალმა ხუთ მანეთამდის არ აჰკრას რომელიმე მხარედან და თუ წინააღმდეგობა გაუბედა ვინმემ, ვაი იმის ბრალი.

18 იანვარს აქ იყო სოფლის ყრილობა მწერლის ამოსარჩევად, მაგრამ როგორც მე არავინ დამკითხებია აზრს მწერლის შესახებ, ისე არც მიწვეულ გლეხებს.. გაგზავნილმა კაცებმა ორ წილზე მეტი ყრილობაზე მომავალი ხალხი უკანვე გააბრუნა, რადგან მთელი ხალხი რომ შეგროვილიყო, ჩვენს მწერალს თავისი ხრიკები ვერას უშველიდა. 5 საათი იქნებოდა, როდესაც მამასახლისი მწერალი და რამდენიმე გლეხი გამოვიდნენ სამიკიტნოდან, სადაც ისინი არყის ბოჭკას ეალერსებოდნენ, და ლაპარაკის მაგივრად ხელით ანიშნეს ხალხს, რომ ისევ ძველი მწერალი აერჩიათ. მაგრამ ხალხი უარზე იდგა და მწერლის კანდიდატად წარუდგინეს მამასახლისს სხვა პირი, ი. შ., რომელსაც წინადაც უმსახურნია ამავე სასამართლოში და ხალხის გულიც მოუგია. მაგრამ მამასახლისმა მრისხანედ უპასუხა ხალხს: „ვინც უნდა მომიყვანოთ, ძველი მწერლის მეტი არავინ მინდა მწერლადაო“.. და კიდეც გაატარა თავისი...

ლაშის წყლისპირელი

## სამეურნეო ცნობანი

### მცენარეთა მეტყველება (ბოტანიკა)

(შემდეგი *)

ჩინჩხატი. ქანქურიტი (ქართული), ტიქნათერ (სომხური), ხერგებედენ (ოსური) მეჩლეჩ, როჯას ხოხო (ლეკური), ბერესკლეტ (რუსული), ევნომიუს ევროპეუს (ლათინური). ძალიან ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, რომლებიც ერჩევიან ერთი-ერთმანეთს მცენარის აგებულობით, ყლორტებით, ფოთლებით, ნაყოფით, სიმაღლით. ეს მცენარე გვარობს ყველგან და ყველა ნიადაგზე, მთებში, ტყეში და მინდვრათ, სხვა მცენარეებივით ნაზი არ არის, მას არ ეშინიან არც სიცხისა, არც სიცივისა, ტოტები და ყლორტები ყვითელი ფერისაა, მის მასალით ამზადებენ ჩიბუხის და მათრახის ტარებს, (ручки) შპილკებს წალებისათვის. ნაყოფი მოწითალო ფერისაა, მწარე გემოსი, ხმარობენ კუჭის გასაწმენდათ, როგორც სასაქმებელი ზეთი. ნაყოფის დანაყილი მტვერი (порошокъ) უებარი წამალია ადამიანის ჰიის, ქეცის, მუწუკების და მკბენარის წინააღმდეგ, ამ მცენარეს ბაღებში და ყვავილნარებში არ უჭირავს დიდი ადგილი, მაგრამ დაბალ ჯიშის ჩინჩხატას უპირველესი ადგილი უჭირავს ყვავილნარების, ბაღების და ეზოების დასამშვენებლად, მეტადრე ერთი ჯურა მოჭრელო მეორე ჯურა მწვანე ფოთლებიანია, რომლებიც ზამთარ-ზაფხულ მშვენიერ ფოთლებში არიან შემკულნი.

მრავლდებიან: თესლით და პატარ-პატარა ტოტებით, გაზაფხულობით და ზაფხულობით.

არჩილ დარეჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

## სამკურნალო ცნობა

სოფელში მცხოვრებთა საყურადღებოდ. ადამიანმა რომ ცხოვრებაში თავისი პირდაპირი დანიშნულება შეასრულოს, უპირველეს ჯერ თვითონ უნდა იყოს ჯანსაღი. სნეული და ავადმყოფი კაცი ბარგია თავის ოჯახისა და საზოგადოებისაც; ავადმყოფი კაცის შეწევნა და დახმარება მოვალეობაა ყველა ქრისტიანისა; ამიტომაც კაცი უნდა ფიქრობდეს, რომ იზრუნოს არამც თუ მარტო თავის ოჯახისთვის, არამედ მთელ საზოგადოების კეთილდღეობისათვისაც. ჩვენ ქვეყანაში ძალიან მცირე ყურადღებაა მიქცეული ავათმყოფობაზედ და ამიტომ ხშირია სიკვდილიანი შემთხვევა, ჩვენში მეტადრე უმეტესად ბავშვები იხოცებიან, ის ბალღები, რომლებიც ჯერ ერთის წლისანი არ არი-

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 738.

ან. სასტატისტიკო ცნობებიდგანა სჩანს, რომ მთელს რუსეთში და აქ ჩვენშიაც ვიდრე ბავშვი ერთის წლისა შესრულდებოდეს სამში ერთი კვდება, მაშასადამე მთელს რუსეთის იმპერიაში მესამედი ნაწილი ბავშვებისა ამ ხანაში იხოცებიან და სწორეთ, რომ სამწუხარო მოვლენაც არის. რასაკვირველია, ახლად დაბადებულს ბავშვს რიგიანი მოვლა და პატრონობა რომ ჰქონდეს, ამოდენიც არ დაიხოცებიან. როდესაც ახლად დაბადებულს რიგიანი მოვლა და ჭამა აქვს, მაშინ სი დიდეშიაც ჯანსაღია, თუ შემდეგ თვითონ არ დაიზადიანა თავი ლოთობით, უსუფთაობით, მავნებელ სმა-ჭამით და სხვა გადამდები სნეულებით. უპირველესად ჩვენ უჩვენებთ იმ ზომებს, რომლებიც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ახლად დაბადებული ბავშვის ჯანსაღობისთვის:

1. როდესაც ბავშვი იბადება მაშინვე თბილათ უნდა შეხვიოთ სუფთა შესახვევებში და მაშინვე ბავშვის ამხანაგს მოუაროთ. მას შემდეგ ბავშვი უნდა გაჰბანოთ თბილს წყალში. ერთი კვირის განმავლობაში ბავშვი ყოველთვის დღეში ერთხელ უნდა გაიბანოს. უბრალო სახმარი საპნით გაბანვა მავნებელია, უკეთესი იქნება ყვითელი საპონი და ან კვერცხის საპონი — ერთი ნაჭერი დიდხანს ეყოფა, გაბანვის შემდეგ ბავშვი უნდა გამშრალდეს სუფთა და რბილი პირსახოცით. ყველა გაბანვის შემდეგ იღლიებსა და ლაჯებში კარტოფილის ფქვილი უნდა დააყაროთ, რომ ბავშვი არ გამოიყელოს.

2. როდესაც ბავშვს ჭიპს მოსჭრით, მაშინვე სუფთა მჩვრით შეუხვიოთ; ეს შესახვევი მჩვარი უნდა დაასველოთ ნადუღ ზეთში და ისე შეუხვიეთ. როდესაც ჭიპი მოვარდება, მაშინ სუფთად მოებანოს, მოუშრალდეს სუფთა მჩვრით და ზედ დამწვარი შაბის პარაშოკი მოაფქვიოთ.

ივ. კავთელი.

(შემდეგი იქნება)

## რჩეული აზრები

—

იღბალისა ნუ გჯერა, უბედურებისა ნუ შეგეშინდება.

—

მეცნიერება კაცს გონებას უხსნის, ამხნევებს და კეთილ კაცად ჰყოფს, ხოლო ვინც კეთილია, ის ბედნიერია.

—

წრფელი გულით მოწადინებული საქმე აღსრულდება.

—

სიყვარული ის არის, სადაც ღონიერი მფარველობს უღონოს და კარგი მეორე შველის ავათმყოფს,

—

ხიფათი და განსაცდელი ჰბადავს უკანასკნელ ღმობიერებას.

—

სულით და გულით მოწადინებულზე უღონიერესი არავინაა

—

მდუღარე ცრემლზე მწვავე არაფერია.

## ყურმოკრული საუბარი

—

— თქვენ ვერმიცანაძის ადგილს თხოულობთ, მაგრამ შეგიძლიათ თუ არა თანამდებობის შესრულება?

— იმედი მაქვს. ჩვენ ხომ ორივე ერთი ხისაგან ვართ გაკეთებული.

— ჰო-და, რაკი აგრეა, როცა ხე დამჭირდება, მაშინ დაგიბარებთ.

—

— სულ აღარ გიყვარვარ!

— როგორ? მე შენ არ მიყვარხარ! რამ გაფიქრებინა ეგ?

— იმან, რომ როცა მე ვტირი, შენ არც-კი მეკითხები, თუ რა მატირებს.

— მაგრამ ჩემო მტრედო, მე მაგისთანა კითხვები ყოველთვის ძვირად მიჯდება.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

28 იანვარი

**სტამბოლი.** იპეკში მომხდარ ალბანიის მამასახლისთა ყრილობის შესახებ იუწყებიან, რომ მამასახლისებმა იკისრეს, იმ შემთხვევაში, თუ არეულობა მოხდება, გამოიყვანონ 17,000 დგან 20,000-მდე კაცი, ხოლო თუ დიდი ომი მოხდა, ეს რიცხვი 200,000 აიყვანონ. მოლლატელლიმ განაცხადა, რომ თუ ომი მოხდა, სამის დღის განმავლობაში მომზადებული იქნება იარაღი სულთანისთვისაო.

**ვაშინგტონი.** გენერალი ოტისი დეპეშით იუწყება, რომ აგვინალდო სცდილობს ამერიკის ჯარის მთავარ-სარდალთან მოლაპარაკება მოახდინოსო.

**პარიზი.** მარშანის მისსია 11 იანვარს მშვიდობით მოვიდა იტიოგში და ადისაბედში წავიდა.

**ტანანარივა.** სომები მიიღეს, რათა კუნძულ მავრიკიდგან სხვა ადგილას არავის შეეძლოს წასვლა, რადგანაც ამ კუნძულზედ რამდენიმე კაცი გახდა ავად შავის ჭირით. ტამატავში ერთი კაცი გახდა ავად 26 იანვარს.

**სოფია.** დილას დედოფლის გვამი სამგლოვიარო ვაგონში გაიტანეს და განსაკუთრებულის მატარებლით ფილიპოპოლში წაიღეს. თან გაჰყვნენ: მთავარი, პრინცი ლეოპოლდი, მინისტრები, უმაღლესი მოხელენი. საღამოთი ყველანი სოფიაში დაბრუნდებიან.

**პარიზი.** მოხსენება რენო მორლიერისა მაზოს გამოძიების საზუთის ქაღალდებით დეპუტატებს დაურიგებს მოხსენება უარ-ჰყოფს მთავრობის პროექტს.

**ლონდონი.** ქვემო პალატა. დიდი კამათი გამოიწვია ბჰობამ სეც ცე სიტყვის პასუხად ადრესის შედგენის შესახებ. ბარტლეტმა განაცხადა, რაც შეიძლება მალე საჭირო ღონისძიებანი ვიხმაროთ ჩინეთის დასახმარებლად და დავიცვათ ამ სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, განსაკუთრებით მანჯურიისა. ვალტონმა სთქვა, მსურს ვიცოდე, მიჰმართა რამ საშუალებას მთავრობამ, რათა პეკინ-ჰანკოუს ხელშეკრულებაში ჩართული იყოს ის პირობები, რომლებიც რუსეთმა იძულებულ ჰყო ჩინეთი ნიუჩვანის გზის კონცესიისათვის ეს ძლიერ საჭიროა იმისთვის, რომ არც ერთს დიდს სახელმწიფოს არ შეეძლოს იანცეს პროვინციაში შეეცილოს ინგლისის საქმეს.

**ლონდონი.** ქვემო პალატა. იერბურგმა განაცხადა თავისი სიხარული იმის გამო, რომ მთავრობა სცდილობს მოურიგდეს რუსეთს ჩინეთის შესახებ. ბროდრეკი წინააღმდეგია ბარტლეტის აზრისა. მთავრობას შეგნებული აქვს ჩინეთში ბრიტანიის ინტერესების დაცვის საჭიროება. მაგრამ ბრიტანიის ინტერესების დაცვა, დახმარება ბრიტანიის ვაჭრობისა და განხორციელება ბრიტანიის სურვილისა არ მოხერხდება იმ სიტყვების წარმოთქმით, რომლებიც გამსჭვალულნი არიან სხვა სახელმწიფოთადმი მტრობით. აქამდე ისეთი აზრი სუფევდა რომ ინგლისს ჩინეთიდგან განაძევებენო. მაგრამ 1898 წლის იანვრიდგან ყოველივე მეტი გამარჯვება ჰქონდა ინგლისს კონცესიებისა და ვაჭრობის მხრივ. თანხმობას ჩინეთის იანცეს პროვინციის შესახებ ისე უყურებენ, როგორც მეტად დიდ მნიშვნელოვან საქმეს. მთავრობას განზრახვა აქვს დაავალოს აფიცრებს გასინჯონ ხეობა და აგრეთვე გამოიკვლიონ, რა მანძილზე შეიძლება გემების სიარული. 19 ახალი სადგური უკვე გაიმართა ან გაიმართება ერთის ან ორის თვის განმავლობაში. ამ დღეებში ნებას მისცემენ ნანკინში გემების მისვლას: ამით ინგლისს გზა გაეხსნება დასავლეთ მდინარეზე რამდენისამე მილის მანძილზე. გარდა ამისა გერმანიისა და რუსეთის მიერ დაჭერილი ნავთ-სადგურებიც ღიაა პირობის ძალით. ინგლისის კონცესიონერებმა უნდა გამართონ 2,800 მილის სიგძის რკინის გზები. ამ საქმეს დასჭირდება 20 მილიონი გირვანქა სტერლინგი. სრულიად არ უნდა გვიკვირდეს ის ამბავი, რომ ძუნგლი-იამენმა გამოსთქვა, ვიდრე ამ გზების გ...
კეთება არ დამთავრდება, სხ...
კონცესიას არავის მივცემთო, ინ...
გლისის მთავრობის სურვილი...
რომ ადგილი არავის მიეცეს, მა...
რამ ინგლისის მთავრობას საქ...
აქვს ისეთ მთავრობასთან, რო...
მელსაც ვერ დაუცავს თვისის ა...
გილების ნაწილიც. ასეა თუ ის...
ინგლისის მთავრობამ გადასწყვი...
ჯეროვანად დაიცვას თვისი ინ...
რესები და თვისი სახელი. ედვა...
გრეი თანხმაა რუსეთთან შეთა...
მებისა. გრეიმა სთქვა, იმედი მა...
ორთავე სახელმწიფო დარწმუნდ...
რომ ამ შეთანხმებისათვის მე...
გულახდილობაა საჭირო. ბარ...
ლეტის აზრი არ იქმნა შეწყნა...
ბული და კამათობა მოისპო.

29 იანვარი

**პარიზი.** ერთმა დასმა დეპუ...
ტატებისამ, რომელთა შორ...
არიან დეკრე, ბარტუ, პუანკა...
ბურჟუა, ბრისონი, სარრიე...
მეზიურერი, პელტანი, მილიე...
ნი,—გამოაქვეყნა დეკლარაცი...
რომელშიაც აცხადებენ, რომ ...
ნააღმდეგობას გავუწევთ მთავრ...
ბის პროექტს, რომლითაც გა...
რახვა აქვთ, დრეიფუსის საქ...
სისხლის სამართლის პალატას ...
ლიდგან გამოაცალოსო. გამოძ...
ბამ გამოააშკარავა, რომ მართა...
არა ყოფილა ის ბრალდება...
რომელსაც ამ პალატასა სდებ...
ნო. ეს საქმე რომ სისხლის სამა...
თლის პალატას გამოაცალოს, ...
იმას მოასწავებს, რომ მართლ-მს...
ჯულება დიფამაციას ჩაუვარდ...
ხელში. ასეთი კანონი ძალ-მო...
რეობა იქნება და ვერც ჩამო...
დებს თანხმობას, მერე ეხლა, რო...
დესაც რესპუბლიკელთა ერთო...
აუცილებლად საჭიროაო.


## განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ქალაქის ყვე...
წიგნის მაღაზიებში და ეკლესიებში
ცხოვრება
ღირსისა და მოციქულთა სწორისა ...
ნინო ქართველთ განმანათლებლ...
სურათით
გამოცემა მორჩილის რაჟდენ ...
რამამისა.
წიგნი შეიცავს 40 გვერდს და ღ...
ერთი შაური. (10—5)

გამოვიდა და ისყიდება ყველ...
„ამხანაგ...
უბის წიგნი და კალენდარ...
ფასი 25 კაპ.
ვინც დაიბარებს არა ნაკ...
ათის ცალისა, ნაღდ ფულზე ...
თმობათ თითო აბაზათ. ადრ...
Квирилы, Ивану Ардишви...


Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Января 1899 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (გ. გუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ. ვე...